საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 212 ოთხშაბათი, აპრილის 4 (17) 1918 წ. № 212

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბათომში ჩვენი ჯარის ნაწილები გაафთრებით იბრძვიან, ცნობებია, რომ ბათომი ჩვენს ხელშია. ძალები ემატებიან.—საზავო დელეგაცია მთელი შემადგენლობით ტფილისში დაბრუნდა.—გერმანიის ჯარი ფინლანდიაში შევიდა: ჰელსინგფორსი დაიკავეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძეხევული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ქართული კლუბი

ხუთშაბათს 5 აპრილს ქართველ მსახიობთა მიერ დამსახურებულ მსახიობის შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. ყაზბეგის ცნობილი პიესა

ქეთევან წამებული

ისტ. დრ. 5 მოქ. დასურ.

აპოთეოზი

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. 1071 ბილეთები იყიდება.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—06

დღეს, 4 აპრილს და ხვალ 5-ს გაიმართება

ექსტრა-ორდინალური წარმოდგენა

მონაწილეობს ყველა გასტროლიორი: ალპინისი, ჟაკი, იამოდასონი, „მფრინავი ადამიანები“ დე ლა-კაზო, ვინჩენკო და სხვები. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს. 391

აბასთუმანი? წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ-ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ეზო, არის საგანგებოდ გამოყვანილი სწყაროს წყალი. არის ვანები, პიანინო და სხვ... სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა...

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.

ინსტრუქცია

თუ როგორ მოეწყოს სახლის კომიტეტები.

2—3 მცხოვრები (ინიციატორთა ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მცხოვრებს საორგანიზაციო კრებაზე, რის შესახებაც 2 დღით წინ აცნობებენ და ამის შესახებ უწყებას გამოაკრავენ თვალსაჩინო ადგილას.

შენიშვნა: თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია, მაშინ 2—3 სახლი ერთდება.

ნიმუში უწყებისა

. . . . . სახლში ყველა მცხოვრები, ... ქუჩა № . . . მოწვეულია საორგანიზაციო კრებაზე № . . . ბინაზე . . . (დრო) განსახილველია: 1) სახლის ორგანიზაციის პროექტი, 2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

საინიციატივო ჯგუფი.

კრების დანიშვნა სჯობიან საღამოსათვის, ან კვირა დღეს.

კრებას ხსნის საინიციატივო ჯგუფის წევრი და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე კრებისა და მდივანი. უკანასკნელი ჩასწერს გვარებს იქ მყოფთა და ბინების №№, სადაც ისინი სცხოვრობენ და აწარმოებს სხდომის ოქმებს.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საინიციატივო ჯგუფის რომელსამე წევრს ეძლევა სიტყვა და იგი კითხულობს სახლის ორგანიზაციათა პროექტს.

შენიშვნა: დაბეჭდილი პროექტები წესდებისა შეიძლება მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ კომიტეტის წევრთა იმდენი რიცხვი, როგორც წესდებაში იქნება.

კომიტეტის არჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ განცხადებას:

. . . . საუბნო საბარათო ბიუროში

. . . სახლში მცხოვრებთა . . . . .

ქუჩა № . . .

განცხადება.

ამით პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი შევიკრიბენით (რიცხვი და თვე) 1918 წ. ავირჩიეთ სახლის კომიტეტი (ამდენი და ამდენი კაცისაგან). სახელდობრ (სახელი და გვარები).

1918 წლის . . . (თვე და რიცხვი). 1134

სახლის ორგანიზაციის წესდების პროექტი

I. სახლის ორგანიზაციის მიზნები.

1. სასურსათო კრიზისის შემსუბუქება (ბრძოლა პურის, შაქრის და სხვა კუდებთან).
2. სახლისა, და ბინების პატრონთა და ოთახის მქირავებელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება.
3. ბინის პატრონთა და მათ მოსამსახურეებს შორის ურთიერთობის მოგვარება.
4. სახლების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.
5. ბრძოლა ბინების ნაკლებობასთან, 6. ბინების დაცვა, 7. სახლების ბინების კარგად მოწყობა და სხვ.

II სახლის ორგანიზაციის შემადგენლობა.

სახლის ორგანიზაციის წევრად ითვლება ყველა მცხოვრები სახლის, 18 წლიდან, რომელსაც დაწესებული გადასახადი შემოტანილი აქვს.

III. სახლის ორგანიზაციის მართველობა.

სახლის ორგანიზაციის საქმეებს განაგებს: ა) საზოგადო კრება, ბ) სახლის კომიტეტი, საზოგადო კრება კანონიერია თუ დაესწრება $^1/_3$ ყველა წევრისა (ან $^1/_3$ ბინების წარმომადგენელთა).

თუ კრებას არ დაესწრო საკმაო რიცხვი კრება ინიშნება ხელმეორედ არა უგვიანეს 2 დღისა, და კანონიერია რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

საზოგადო კრება ირჩევს სახლის კომიტეტს (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. თანამდებობის პირებს ირჩევს თვითონ სახლის კომიტეტი) და სარევიზიო კომისიას 3 პირისაგან. საზოგადო კრება უნდა იქმნას მოწვეული თვეში ერთხელ მაინც. საზ. კრებაზე კითხვები წყდება ხმის უმრავლესობით; თუ ხმები გაიყო, თავმჯდომარის ხმა სწყვეტს კითხვას. სახლის კომიტეტი განაგებს სახლის ორგან. საქმეებს, ხისრულებში მოჰყავს საზ. კრების დადგენილება და თავისი მოქმედების ანგარიშს აბარებს საზ. კრებას წელიწადში ორჯერ.

IV. სახლის ორგანიზაციის სახსარი.

1. ყველა წევრი იხდის თვიურად [illegible] გადასახადს, რომელსაც დააწესებს საზ. კრება. 2. შემოწირულებანი, 3. სპეციალური მიზნის გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ საკუთარი ბეჭედი, სადაც აღნიშნულია ქუჩა და სახლის №. 1132

ინსტრუქცია სახლის კომიტეტს

1) საჭიროა რაც შეიძლება მალე (1 აპრილამდე მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მოუწოდოთ მსურველებს შეერთდნენ ჯგუფებად პურის მისაღებად.

2) საჭიროა გამოარკვიოთ რომელ ფურნიდან გსურთ პურის მიღება და ამ გვარი შინაარსის განცხადება შეიტანოთ საუბნო სასურსათო კომიტეტში:

საუბნო სასურსათო კომიტეტს

. . . . . სახლის კომიტეტი . . . . .

უბნის . . . . . ქუჩა № . . .

განცხადება.

პატივი გვაქვს გთხოვოთ გასცეთ განკარგულება მისცენ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . ფურნიდან . . . (რიცხვი) . . (რაოდენობა) . . .

თავმჯდომარე . . .

3. საჭიროა მოთხოვნის ქაღალდები მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროში.

4. ხელმოწერილი განცხადება უმჯობესია თვითონ გაგზავნოთ აღნიშნულ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის.

5. საჭიროა თვითოეულ ბინას საკუთარი პარკი ჰქონდეს პურისათვის; ბინის № გარკვეულად უნდა იყოს აღნიშნული, აგრეთვე გვარი ბინის პატრონისა.

6. უნდა დაარსდეს რიგი ბინებისა, თუ რომელი ბინა როდის წავიდეს პურის მოსატანად და ეს რიგი თვალსაჩინო ადგილას უნდა იქმნას გამოკიდებული.

7. მორიგე ბინა ვალდებულია პარკი და ფული მიიტანოს არა უგვიანეს საღამოს 8 საათისა.

8. სასურსათო ბარათების გაცემისას ყოველთვის საჭიროა შემოწმებულ იქმნას სია ოჯახის შემადგენლობისა.

9. საუბნო საბარათო ბიურო მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს ბარათებს.

10. სახლის კომიტეტებმა ბარათების მისაღებად უნდა წარადგინონ მოთხოვნის ქაღალდი, ძველი ბარათები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1133

სტამბა „სახალხო საქმე“

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.

საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.

კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წლამდე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებულ მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენების და მისაც სახიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას**, თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით გვაცნობონ ამ სამართით: ქართული დრამატიული საზოგ. გამგეობა. 1117

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესეა განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი)	—	—	1000 მან.
მეორე პრემი (ორი)	—	—	700 მან.
მესამე პრემია (ერთი)	—	—	500 მან.

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა. ტფილისი. 1137

საბარათო სისტემის განყოფილება

ქალაქის გამგეობასთან არსებული 31 მარტიდან გადავიდა სერგიევის ქუჩაზე № 4.

1135 ქალ. გამგეობის საბარათო განყოფილება.

ტფილისი, 4 აპრილი 1918 წ.

ბრძოლა თავისუფლებისთვის.

აღსრულდა!.. ოსმალეთმა უარჰყო მშვიდობიანი მოლაპარაკება და იარაღით მოისურვა საქართველოს დაპყრობა. ვერავითარმა დათმობამ, ვერავითარმა პოლიტიკურმა კომბინაციამ ვერ შეაცვლევინა ოსმალეთს განზრახვა და თავის იმპერიალისტურ მიზნებზე ხელი ვერ აღებინა. ნათლად გამოჩნდა, რომ მთელი საზავო მოლაპარაკება მხოლოდ კომედია იყო, მასხრობა გათავხედებული მტრისა, რომელსაც იმდენად დაუძლურებულად მიაჩნია მოწინააღმდეგი, რომ რასაც ჰსურს, იმას იზამს. ნათლად გამოჩნდა, რომ ოსმალეთს ამიერკავკასია დასახული ჰყავს ისეთს ერთეულად, რომელსაც ყოველნაირი თავისი ნებისყოფა შეუძლიან მოახვიოს; ეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომელიც დამონავებასა და ოსმალეთის ყმად გახდომას უდრის. ოსმალეთმაც გვაგრძნობინა, რომ მისთვის ბათომი მხოლოდ ოფიციალური სადავო ადგილია, ფაქტიურად კი იგი დაიპყრობს მთელს ამიერკავკასიას და საქართველოს, სადაც თავის ბატონობას განამტკიცებს. ეს მიზნები ოსმალეთისა ცხადი და ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას მან ანაცვალა დავა სამი ოლქის შესახებ. მართლაც, პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიისა იმ დროს, როდესაც საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა, ასეთი იყო: ამიერკავკასია მზად იყო დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, თუ ოსმალეთი უზრუნველჰყოფდა ამ დამოუკიდებლობას და შეამცირებდა თავის აგრესიულ მიზნებს, ყოველ შემთხვევაში აგრძნობინებდა ამიერკავკასიის ერებს, რომ ოსმალეთის, როგორც სახელმწიფოსთვის, პოლიტიკურად საინტერესოა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. ასე მოიქცა გერმანია უკრაინაში. რუსეთი მუდამ საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთისთვის და ამიტომ საბუთი გვქონდა გვეფიქრა, რომ ოსმალეთი გულ-წრფელად მოისურვებდა, თავისი პოლიტიკური მომავალის უზრუნველსაყოფელად, ოსმალეთსა და რუსეთს შორის აღემართა დამოუკიდებელი სახელმწიფო—ამიერკავკასია. სწორედ ამიტომ ამიერკავკასიის სეიმმა პრინციპიალურად შე-

საძლებლადა სცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება. ფაქტიური განხორციელება ამ დამოუკიდებლობისა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ოსმალეთი: უზრუნველჰყოფდა ამ დამოუკიდებლობას, თუ პირიქით, ისეთს მდგომარეობაში ჩააყენებდა, რომ დამოუკიდებლობაზე ოცნებაც კი ზედმეტი იქნებოდა. საზავო მოლაპარაკების დროს ცხადი გახდა, რომ ოსმალეთს არ აინტერესებს საკითხი დამოუკიდებელი ამიერკავკასიის შექმნისა. ყოველ შემთხვევაში მას უფრო მეტად აინტერესებს დაპყრობა ჩვენი ქვეყნისა თუ იგი მაინც ლაპარაკობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე და დაჟინებით მოითხოვდა, გამოაცხადეთ დამოუკიდებლობაო, ამას მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა: ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით მას ჰსურდა ისეთი იურიდიული პირობები შექმნა, როდესაც დამარცხებულ ამიერკავკასიას სეპარატიულად შეეკრობა ზავით და მიმავალ საშვიდობო კონფერენციაზე წარსდგებოდა ახალის პოტენციებით, რომელთაც ზურგი გამაგრებული ექნებოდა დამოუკიდებელი" ამიერკავკასიის „თავისუფლად" დადებულ ხელშეკრულობით.

ნამდვილი მიზანი ოსმალეთისა კი ერთია: ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს დაპყრობა. ამ პირობებში უხდება ბრძოლა საქართველოს ოსმალეთთან, რომელიც მთელს თავის იმედებს ამყარებს იმაზე, რომ ქართველი ხალხი მზად არ არის თავისი თავი დაიცვას და მოჰკვდეს თავისუფლებისთვის. ეს იმედები უნდა გავუცრუვოთ ოსმალეთს. უნდა დავუმტკიცოთ მას, რომ ქართველი ხალხი ოსმალეთის მონად დარჩენას სიკვდილს აჯობინებს, უნდა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველმა ხალხმა იმიტომ არ მოიგლიჯა მეფის უღელი, რომ ახალი, უფრო სასტიკი და ულმობელი, საუკუნო უღელი დაიდოს კისერზე. შთამომავლობა წყევლით და კრულვით მოიხსენიებს ეხლანდელ თაობას, თუ იგი უბრძოლველად დანებდა მოძალადე მტერს და თავისი საკუთარი ხელით გამოიჭრა ყელი. ამ დანაშაულობას შთამომავლობის წინაშე ეხლანდელი თაობა ვერ ჩაიდენს.

ბათომი დაეცა!..

ბათომი დაეცა... დღეს ის სათათრეთის ხელთაა. ჩვენი აწმყო და მომავალი სიმდიდრე, ჩვენი ერთად ერთი გზა ევროპისაკენ და მის კულტურულ წყაროებისაკენ მიმავალი დავკარგეთ... ისინი, ვინც სიფაქიზით და სიმტკიცით გვიყვარდა, ისინი, რომელთა ბედს გულისკვნესით დავსტიროდით, ისინი, რომელთა მრავალტანჯულ სახეს ჩვენს გულში მუდმივ ვატარებდით, ისინი შეიქმნენ ჩვენი დღევანდელი უბედურების მიზეზი. ძმური ხუცესის, ძმური სიყვარულის ძაფი მათ გასწყვიტეს ისტორიულმა უსამართლობამ და უკულმართობამ, რომლის მოსპობას ჩვენ ვლამობდით, ჩვენი მოძმენი ჩვენს წინააღმდეგ აამხედრა და ჩვენი მდგომარეობა ისედაც რთული და მძიმე საშინელ პირობებში ჩააყენა...

არეულობა, ანარქია, შინაური ომი, გარეშე მტრის შემოსევა—ყოველისფერი დღეს თავს დაგვატყდა. ისტორიამ ჩვენს ხალხს ზედმეტად რთული როლი არგუნა: ერთი და იმავე დროს მან უნდა დაიცვას დამოუკიდებლობა, თავისუფლება, სამშობლოს ტერიტორია, რევოლიუციის პრინციპები და თავისი საკუთარი სიცოცხლეც.

შეუძლებელია გადმოცემა ყოველი იმისა, რაც ჩვენმა ერმა გადიტანა: იმოდენი ფიქრი, აღელვება, ტანჯვა წილათ ხვდა მას. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გადმოცემა იმისა, თუ რა მოგვილის და რას უქადის დღეს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა: ჩვენი სამშობლოს ერის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული მონობის სურათი ნათლად იშლება ჩვენს წინაშე; ჩვენი ერის განთავისუფლებას მოველოდით, დღეს მონობას გვიქადიან; სამშობლოს მხარის აყვავებას მოველოდით, დღეს კი ცეცხლითა და მახვილით ჩვენს ქვეყანას ანადგურებენ...

ამ განსაცდელის ჟამს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა გვაკისრებს მძიმე მოვალეობას: უპირველესი ჩვენი მოვალეობაა არ ვიფიქროთ სხვა რაიმეზე დღეს გარდა იმისა; მეორე მოვალეობაა, ძმურათ, სანამ ზავი ჩამოვარდებოდეს, მხარი დავუჭიროთ ეხლანდელ მთავრობას, ვაღიაროთ ის, როგორც ნაკადი უფლებისა და აუცილებლობისა. ჩვენ უნდა გავიმსჭვალოთ მხოლოდ ერთი იდეით, შევიპყროთ მხოლოდ ერთი სურვილით—გამოვგლიჯოთ ჩვენი ქვეყანა იმ უფსკრულს, რომელშიაც ის ჩააგდო რუსეთის თვითმპყრობელობამ და თანამედროვე მსოფლიო ომმა.

ჩვენ საკმარისი ხალხი გვყავს, მაგრამ ჩვენ გვაკლია მტკიცე გადაწყვეტილება, გარკვეული გეგმა მოქმედებისა და მისი მტკიცე, შეურყეველი შესრულება; ბათომის დათმობის შემდეგ ჩვენ ბევრი რამ, რაც ომისათვის გამოგვადგებოდა, დავკარგეთ. მთელი იარაღი, საჭირო მასალა, სურსათი რუსეთისა და მისი ჯარის დაშლისა და დანგრევის შემდეგ დაიპნა, დაიკარგა, დაიტაცეს...

ყველა ჩვენი უბედურების დასაგვირგვინებლად, ვითომდა საჭირო იყო თავდაცვისათვის ყველა საშვალებათა მოსპობა.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ჩვენი ბედი და მომავალი ნუ დავკარგავთ სულის სიმშვიდეს, რომელიც დაუმარცხებელი ძალაა ერისა. არიან სპეციალისტები, იშოვება თოფები და ზარბაზნები; შეგვიძლია ფეხსა და ტანს ჩავაცვათ ჯარის კაცებს; შეგვიძლია მათი გამოკვება; შეგვიძლია სახელოსნოების გახსნა, მოკავშირეებიც გვეყოლება. საჭიროა მხოლოდ გამოფხიზლება მთელი ერისა.

მაშ ხელი მოვკიდოთ ერის საქმეს. დღეს არ არიან პარტიები, ჯგუფები. დღეს გაერთიანებული საქართველო სდგას იარაღით ხელში და თავის არსებობას იცავს. ჩვენ არავის თავისუფლებას არ ვემუქრებით. ჩვენ მთელი ქვეყნის წინაშე ვაღიარებთ, რომ ამ საერთო სამხედრო ქარიშხალის დროს ვიცავთ სამართლიანობას, მას პატივს ვსცემთ; არა ვართ მომხრენი სისხლის ღვრის სასტიკ უფლებისა, რომელსაც ამართლებს ადათი და გმობს ბუნება. ჩვენ მხოლოდ წინ აღუდექით ძალას და ვეწინააღმდეგებით დამონავებას. ეს ჩვენი დიდი უპირატესობაა; შეიძლება მეტი ითქვას—ეს დიდი მორალური შესაძლებლობაა. ჩვენ ერს სწყურია მშვიდობიანობა, პატიოსანი შრომა, წესიერება, თავისუფლება, განათლება და სამართლიანობა. ყოველისფერი ეს ოსმალეთმა უკუ აგდო, ამიტომაა იარაღი რომ ავიღეთ.

ეხლა მოვსთხოვოთ მთავრობას პირნათლად შეასრულოს მოვალეობა თავისი... ბათომის დაცემა ნათლად გვიმტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენს ფრონტს სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული. ჩვენ არ შეგვიძლია ბედი ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისა იმათ ხელში დავსტოვოთ, ვინც დღემდის მხოლოდ ჩვენს მოუმზადებლობას ხელს უწყობდა. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა დიდი მსხვერპლია საჭირო დღეს და ჩვენი ხალხი ამ მსხვერპლს არ გაექცევა. მაგრამ უსათუოდ მოითხოვს, რომ მისი ინტერესები სავსებით იყოს დაცული. მთავრობამ ამით უნდა განსაზღვროს თავისი მოქმედება. ვიმედოვნებთ, რომ ნაციონალური ენერგია, რომელიც დღეს ამუშავდა, შესაფერისად იქნება მთავრობის მიერ გამოყენებული,

ალ. მდივანი.

გამოფხიზლება

ოფიციალურმა დეპეშებმა საშინელი ცნობები მოგვაწოდა. ბათომი აიღეს ოსმალებმა.

ოსმალეთის ჯარი, გალატაკებული ჯარი, ულონო, დაცემული, რომელსაც მხოლოდ გაქცევა და სილაჩრე ახასიათებდა მუდამ, დღეს გმირის სახელის მოხვეჭა მოუნდომებია და თვალებში ცეცხლის ანთებით მოდის—იცით ვის წინააღმდეგ?—ქართველთა ჯარის დასამარცხებლად.

შეიძლება თუ არა დავიჯეროთ, რომ ქართველიცა ისე დაეცა, რომ ოსმალეთს მხდალი, ტიტველ-მშიერი ჯარი გაალომოს და არ გააქციოს ბრძოლის ველიდან? განა დავიჯეროთ, რომ ოსმალეთი, რომელიც ომობს არა მარტო ოთხი წელიწადია, თითქმის რვა წელი, დამარცხებული ბალკანეთში, განადგურებული იტალიასთან, შერცხვენილი რუსებისა და ინგლისელების მიერ დღეს ჩვენ—საუკეთესო ციხეებითაც ვერ მოვიგერიოთ?

ვერ ვიჯერებდით ოფიციალურ ცნობას ჩვენი ჯარის და ერის შერცხვენისას, ვერ დავიჯერებდით ბათომის ასე სწრაფი და უმაგალითო დაკარგვას და მართალი უნდა გითხრათ—ჩვენ არც ეხლა გვჯერა ჩვენი ჯარის ესოდენ თავლაფის დასხმა, ბათომის დაკარგვა.

ბათომი საქართველოს არც შორეული სიმაგრეა და არც მეორე და მეოთხე სიმაგრე; ის ერთად ერთი საფუძველი და სიმაგრეა ჩვენი ერისა, ის კარია საქართველოსი, რომლის დაკარგვით ჩვენ ყველაფერს ვკარგავთ, აღარ გვრჩება აღარც ერთი გამაგრებული ადგილი, რომ თავი დავიცვათ.

ბათომი რკინის გზით და გზა ტკეცილებით არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან. მას აკრავს მჭიდროდ დასახლებული სოფლები და ქალაქები საქართველოსი, იგი არის ბუდე სურსათისა და თუ ყოველ მხრივ მოწყობილ სიმაგრეს ერთის სულის შებერვით დავკარგავთ ნუ თუ აღარ უნდა ვიკითხოთ? ვინა ვართ ჩვენ? მონები, ლაჩრები თუ თავისუფლების დამცველი მოქალაქენი.

ეჭვს გარეშეა ჩვენ სილაჩრე გამოვიჩინეთ, მართალია ბათომის ქუჩებში ბრძოლაა, მართალია ერთი თუ ორი ფორტი კიდევ სისხლსა ღვრის სამშობლოსათვის და არ უნდა დანებდეს მტერს, არ უნდა ოსმალეთს გაიხარებოს ქვეყანა, მაგრამ თუ დარჩენილ მცირე რაზმებს დაუყონებლივ არ დავეხმარებით გმირთა სულის მატარებელნი უსწორო ბრძოლაში დაიღუპებიან, ბათომში სამუდამოდ აფრიალდება დროშა მტარვალობისა და საშინელების ცეცხლი აღინთება მთელს საქართველოში.

თუ ბათომს დავკარგავთ მახვილისა და ცეცხლის პირში ჩავარდება გურია, სამეგრელო, იმერეთი, ქუთაისი, ფოთი, სამტრედია, ხაშური, ტფილისი.. თუ არ დავიცავით ბათომი დავმარხავთ რევოლიუციას, თავისუფლებას, ოჯახს, ბედნიერებას.

სამარადისო სირცხვილი და ლაქა მოგვეცხება ლაჩრობისა თუ ბათომის მარცხი ბათომითვე არ გამოვასწორეთ. მთელი საქართველო უნდა შემოკრბეს ბათომის ირგვლივ და დაუყონებლივ დაიბრუნოს ციხე-ქალაქი, რათა დამარცხებულმა ოსმალეთმა იცოდეს, რომ საქართველოს ჯარი ლაჩრებისა და მხდალების გუნდი არ არის.

ძმებო, გამოვფხიზლდეთ, ამხანაგებო—სამშობლო და რევოლიუცია იღუპება!

ნუ თუ ყოველივე სიტყვა დაიკარგა ჩვენთვის და უგრძნობნი-და შევიქენით? ნუ თუ აღარ ხედავთ, რომ ბათომიდან მტარვალთა ჯარი მოადგება ხვალ თქვენს სახლ-კარს, ოჯახს, ცოლს, დებს, ძმებს და მათ შეურაცყოფას მიაყენებს? ნუ თუ სინდისიც დავივიწყეთ, ნამუსიც, ყველაფერიც?

მეომრებო, ჩვენ გვღუპავს დაქსაქსულობა, უფროსისა და ამხანაგის უპატივისცემლობა, ჩვენი სამარე დისციპლინის დავიწყებაა. ძმებო, გავამეფოთ ყველგან და ყველაფერში დისციპლინა, დავუჯეროთ გამოცდილებს, ამხანაგებს, მამულიშვილებს, მტერს მტრულად შევხედეთ და სამარცხვინოთ არ მივუშვიროთ ლაჩარი ზურგი.

ბათომის მარცხი ჩვენვე უნდა გამოვაბრუნოთ. ან სიკვდილი, ან ბათომის დაბრუნება!

სოციალისტ-ფედერალისტი.

ქართული პრესა

ბათომის აღების გამო გაზეთი „ერთობა" სწერს:

„ჩვენ ზავს ვაწარმოებდით, მტერი კი მუხანათურათ თოფ იარაღს აჩხარუნებდა. ჩვენ სამეზობლოთ ვუწვდიდით ხელს, მტერი კი ამ დროს შინაურებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდა. ჩვენ გვინდოდა დემოკრატიულათ გვემოქმედნა, მტერი კი ფაშების პოლიტიკას აწარმოებდა.

და აი შედეგი: ჩვენ იძულებული გავხდით საზავო მოლაპარაკება შეგვეწყვიტა, რადგან მტერი მხოლოდ გვატყუებდა და თან ისეთ პირობებს გვიყენებდა, რომელიც ჩვენთვის მიუღებელი იყო. ჩვენ სასირცხვო ზავს—ვარჩიეთ უზავოთ დარჩენა.

მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ დაუყონებლივ იმდენი ძალის გამოჩენა არ შეგვეძლო, რამდენიც საჭირო იყო. ჩვენ კიდევ გავაგრძელებდით მოლაპარაკებას, რომ მტერს ყელში დანა არ დაეჭირებია. მაგრამ ასეთ პირობებში მხოლოდ იმას შეუძლია მტერს გაუძლიოს, ვისაც ადამიანური გრძნობა თავის ღირსების შეგნებისა დაკარგული აქვს. ჩვენ ეს არ შეგვეძლო. და საუკეთესოთ დავინახეთ ხალხს გაეგო, რომ ოსმალეთი მას დამონებას უქადის და არა მეზობლობას.

ბათომის წაღება—ერთი ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

საზავო მოლაპარაკების დროს მოიპარებოდა მტერი ამ ციხე-სიმაგრისკენ. ზავის ბურუსში გახვეული ჩვენი ჯარი არ თვლიდა საბოლოოთ მხოლოდ და მხოლოდ იარაღზე დაყრდნობის საჭიროებას. იგი თითოქოს ელოდა კიდევ მოლაპარაკებისგან რაიმე გამოსავლის მონახვას, რომ ძმათა სისხლი არ დაღვრილიყო.

მაგრამ ოსმალეთის ფაშებს ძმათა სისხლის ღვრა არასოდეს არ შეზარებიათ. იგინი სულ ასეთ სისხლში სცურავდენ და დღესაც სურთ იცურაონ. მათ მოუსიეს თავის ჯარი ბათომს და იგი აიღეს. ჩვენმა ჯარმა საუბედუროთ ვერ გაუწია შესაფერი წინააღმდეგობა. იგი ვერ მიხვდა მთელ იმ საშინელებას, რომელიც ბათომის დაკარგვით მოელოდა მას. მტერი ახლა უფრო გათამამებული და წაქეზებული წამოიწევს წინ. იგი ახლა მეტის ულმობლობით მოედება ჩვენს მიწა-წყალს. ბათომის დაკარგვით, ჩვენ დავკარგეთ ციხე-სიმაგრე, დავკარგეთ სავაჭრო ბოღაზი, დავკარგეთ ჩვენი განთავისუფლებული მოძრაობის პირველი აკვანი; მაგრამ არ დაგვიკარგავს სული თავისუფლების, არ დაგვიკარგავს ადამიანური გრძნობა პროტესტისა მოძალადეების წინააღმდეგ, და ჩვენ უნდა განვაგრძოთ ისევ ძალების მოკრება.

სამწუხაროა, მაგრამ უტყუარი ფაქტია ის, რომ დემოკრატიას ხშირად ესაჭიროება თვალსაჩინო მაგალითი, რომ მან შეიგნოს მთელი შინაარსი და აზრი მის თავზე მოსულ საფრთხისა. დღეს, ბათომის დაკარგვა ყველა დემოკრატს, უკანასკნელ შეუგნებელ პირსაც კი აგრძნობინებს, რომ შემოგვესია ისტორიული მტერი ქართველი ხალხის, დაუძინებელი მოწინააღმდეგე დემოკრატიის, მოსისხლე მებრძოლი კულტურის, განათლების და წინმსვლელობის წინააღმდეგ, შემოგვესია შეუბრალებელი ოსმალეთი თავის ველურობით, სისასტიკით ხალხის წამებით სახელგანთქმული...

და ვინ იქნება ისეთი, რომ მას ქედი მოუხაროს, წინ დაუჩოქოს თავის წასაჭრელათ?"

სომხური პრესა

სომხური პრესა დიდს ადგილს უთმობს ზავის საკითხს და იმ ულტიმატუმს, რომელიც ოსმალეთმა წამოუყენა ამიერკავკასიას. ულტიმატუმისა და ოსმალეთისათვის დათმობის შესახებ ერთი აზრის არ არის მთელი პრესა. „პაიქარი" წინააღმდეგია იმის, რომ ოსმალეთს რამე დაუთმონ. ის სწერს.

„ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ შორისაც არიან სულ მდაბალნი და მშიშარები, სიტყვის რაინდები და ზნეობრივად გათახსირებულნი, რომელნიც ამ საშინელ ჟამს, გაიძახიან: ჩვენ არა გვაქვს ძალა, არა გვაქვს პური, მებრძოლის სული და ყველაფერს დავკარგავთ, თუ არ დავაკმაყოფილებთ მტერს და ომს განვაგრძობთ. ახლა ჩვენ არ გვესაჭიროება ასეთი მშვიდობიანობის სიმღერები; ჩვენ დიდ დანაშაულად მიგვაჩნია ამ გვარად მსჯელობა.

„ჩვენ რომ დაუთმოთ მტერს ბათომი, ყარსი და არტაანი, ის მაინც არ შესწყვეტს წინსვლას და ჩვენი ქვეყნის შუაგულში შემოიჭრება. გერმანიის იმპერიალიზმი ოსმალეთის და მისი უღლის საშუალებით სცდილობს თავის კოლონიად გადააქციოს ამიერკავკასია. ჩვენ ეს ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული.

„ამრიგად, კომპრომისების პოლიტიკით ჩვენ ვერ შევაჩერებთ მტერს განსაზღვრულ ხაზზე; და თუ ეს ასეა, რაღა აზრი აქვს ჩვენს კომპრომისულ ტაქტიკას. მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გვქონდეს; დაუნდობელი ბრძოლა, საღმრთო ომი, ან სიკვდილი ან თავისუფლება. ჩვენი ასეთი ნაბიჯები მხოლოდ საყოველთაო თანაგრძნობას გამოიწვევს. ჩვენ გვეყოლებიან დამხმარენიც და მოკავშირეებიც. ეშმაკებიც რომ მოვიდნენ ჩვენს საშველად, ჩვენ მივიღებთ მათ დახმარებას.

„ცენტროფლოტი, ჩრდილო კავკასია, თვით გონზე მოსული ბოლშევიზმი—თუ ესენი მოვლენ საშველად, ხელ გაშლილი შევეგებებით მათ, რათა ოსმალთა უღელ ქვეშ არ მოვხვდეთ.

„მოქალაქენო! საბედისწერო ჟამი დაგვიდგა. ორში ერთი! ან სიკვდილი, ან სიცოცხლე; ან მონები ან თავისუფალი მოქალაქენი".

—

„ჰორიზონი" კი თანახმაა ცოტა რამ დაუთმოს ოსმალეთს, მხოლოდ ისე, რომ არ შეილახოს ამიერკავკასიის საარსებო ინტერესები. ის სწერს:

„თუ დღეს აუცილებელია დათმობა, თუ ჩვენ გართულებულ პირობების გამო არ შეგვიძლია სავსებით შევასრულოთ ჩვენი დადგენილება, ყოველ შემთხვევაში ბათომისა და ყარსის დათმობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ ჩვენ შეგნებული გვაქვს ამიერკავკასიის რეალური ინტერესები.

„თუ ოსმალეთი თანხმობას განაცხადებს ხელი არ ახლოს ყარსს, აუცილებლად დაითმოვს ბათომს, ეს ჩვენთვის ისევე მოულოდნელია, როგორც ყარსის დათმობა და ბათომის შენარჩუნება".

ომი სამშობლოს დაცვისათვის

ბათომი.

ჩვენმა რედაქციამ დილის 12 საათზე მიიღო რკ. გზის სამართველოდან შემდეგი დეპეშა: „ფოთი. უკანასკნელ ცნობებით ბათომი ისევ აღებულია ჩვენი ჯარის მიერ, აგრეთვე ფორტები, ბრძოლაა მიდამოებში. ბათომში შევიდა 2 ჯავშნიანი მატარებელი და 4 ეშელონი ჩვენი ჯარისა. ფოთიდან იგზავნებიან მეომარნი და წითელი რაზმელები 35 ვაგონი და 25 ვაგონი სამხედრო სურსათი".

ეს ცნობა ოფიციალურად დღის 3 საათამდე არ დამტკიცდა 4 ნახ. საათზე ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფის სადგურიდან გადმოგვცეს, რომ ბათომში მართალია იყო მტრის ჯარის ნაწილი, მაგრამ ისინი განდევნეს, ბათომში ჩვენი ჯარის ნაწილები იბრძვიან.

ბათომის მდგომარეობა.

1 აპრილს, დილით, ოსმალოებმა ბათომი აიღეს. ქალაქის თვითმართველობა, სახალხო მილიცია და სხვა დაწესებულება ხელუხლებელი დატოვეს. ქალაქში სრული სიწყნარეა. მხოლოდ 400 ასკერი შემოიყვანეს ქალაქში. დანარჩენი ჯარი კი ქალაქის ირგვლივ დატოვეს.

31 მარტს საღამოს ოსმალთა არტილერია ჩვენს სიმაგრეებს ესროდა. მტრის ქვეითი ჯარი იერიშზე მიიტანა [illegible] ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაწილზე და „სამეგრელოს" სიმაგრეზე. ჩვენმა ნაწილებმა შეტევა დაიგერიეს. 1 აპრილს დილის 6 საათზე ოსმალებმა კვლავ მოიტანეს იერიში და ფორტი [illegible] აიღეს. ტახტისძირის ფორტის [illegible] ფორტი [illegible] რამდენიმე ჯარის კაცი. ნისლი ხელს უშლიდა ჩვენს არტილერიის სროლას.

1 აპრილს ბათომის ციხე ოსმალებმა აიღეს. [illegible] ჯარი [illegible] დაცვას განაგრძობს.

შატილა.

1918 წ. 3 აპრილს შუადღის 12 ს. შავი ზღვის სანაპიროდან ცნობები არ მოსულა. სარიყამიშის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია.

შატილა.

რადიო-დეპეშები

პარიჟი. 15 აპრილი. დღე-ღამის განმავლობაში არტილერიის მოქმედება გან-გარდტ-სანტერის ნაწილში მეტად გაძლიერდა. გუშინ ფრანგებმა გაფანტეს მტრის ძალები. ფრანგთათვის გამარჯვებით დამთავრდა ორი იერიში: ერთი პარიზის მიმართულებით, მეორე ბონხომის ხეობაში, აქ წამოვიყვანეთ ტყვეები. სროლაა სხვა ფრონტებზე და მეტადრე აპო-კურტის სექტორში.

კონსტანტინეპოლი. კავკასიის ფრონტი. ბათომი დავიპყრეთ. მტერი იცავდა თავის უკანასკნელ ფორტებს. 13 აპრილს საღამოთი ჩვენ იერიში მივიტანეთ სამხრეთ ფორტზე. ზოგი ფორტი წინააღმდეგობას არ გვიწევდა, ზოგი კი იცავდა. ქალაქის მცხოვრებთა დეპუტაცია გამოვიდა ჩვენი ჯარების დასახვედრად და მიესალმა უკანასკნელს.

ქალაქი და ნავთსადგური უბრძოლველად დავიჭირეთ. ტყვეთა და ქონების რიცხვი ჯერ არ ვიცით. მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მივაყენეთ. ვანის ტბის სამხრეთით ჩვენ დავიჭირეთ სერთი. სხვა ფრონტზე აღსანიშნავი არაფერია.

ბერლინი. 15 აპრილი. ლისთან მნიშვნელოვანი ბრძოლა გრძელდება. ბელიელ და ნერისხთან მტრის ზოგი თხრილები ტყვიის მფრქვევლებით ხელთ ჩავიგდეთ, ტყვეებიც წავიყვანეთ. მტრის კონტრ-იერიშები ბელიელთან და ჩრდილოეთ-დასავლეთით ბესავესთან იმათთვის ცუდად დამთავრდა. საგრძნობი ზიანი მივაყენეთ.

სომის ორთავე მხარეს არტილერიის მოქმედება ცუდი ამინდის გამო შესწყდა.

აღმოსავლეთის ფრონტი. (გერმანიის ცნობა) ძლიერი ბრძოლის შემდეგ მტრის შეიარაღებულ ბანდებთან ჩვენი ჯარი შევიდა ფინლიანდიაში, ჩვენი სამხედრო გემების დახმარებით ჰელსინფორსში გაემგზავრა.

ბერლინი. 15 აპრილი (საღამოს) ლისთან ბრძოლა გრძელდება, [illegible] ჩვენ მიერ დაიჭირეს.

ბერლინი. [illegible] უკანასკნელი ცნობით [illegible] ცენტრალურ სახელმწიფოთა [illegible] 517 ათასზე მეტი კაცი, 7246 ზარბაზანი, 20.000 ტყვიის მფრქვეველი, 300 [illegible], 100 ჯავშნიანი მატარებელი, 630 [illegible] 7000 ფურგონი, 8000 ვაგონი, 800 [illegible] მასალა.

ამ ხნის განმავლობაში ჩამოვაგდეთ 1000 ჰაეროპლანი და [illegible] ჰელსინგფორსში ცუდი ამინდის გამო [illegible]

გერმანიის [illegible]

[illegible]

დილიდან ჩვენი ძალები მიდიოდნენ ნავთსადგურისაკენ. [illegible] ქალაქის ქუჩებში. [illegible] 3 საათზე [illegible] ბრძოლა, რომელიც [illegible]

მოსკოვი. 15 აპრ. [illegible]

ახალი ამბავი

◆ **სამშვიდობო დელეგაცია გუშინ დილით ჩამოვიდა ტფილისში. ისინი ფოთით მოვიდნენ.**

◆ [illegible] მადლობას სწირავს [illegible] სემინარიის სასარგებლოდ [illegible]

◆ დღეს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის სეიმის კრება.

◆ **სახალხო მილიცია,** ფოთიდან [illegible] სახალხო მილიცია, რომელშიაც [illegible] ყველა მოქალაქე 18—45 წლამდე. [illegible] სამშობლოს წინაშე [illegible]

◆ დღეს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე [illegible] (ქ. № 11) [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროვებლად ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **სწავლის შეწყვეტა.** სახალხო სასწავლებლების გამგე კომისარიატმა დაადგინა სწავლა შესწყდეს ქუთაისის გუბერნიის ყველა სასწავლებელში.

◆ **სახაზო დელეგაცია** მთელი შემადგენლობით დაბრუნდა ტფილისში.

◆ **კავკავიდან** ტფილისს ჩამოვიდა პეტროგრადის ყოფილი ქალაქის თავი, ცნობილი სოც.-რევ. შრეიდერი.

◆ **ლტოლვილები.** ტფილისში ამ ჟამად იმყოფება 10 ათასი ლტოლვილი. იმათთვის დაცალეს რუსული კლუბის საზაფხულო შენობა და ზოგიერთი კინემატოგრაფის შენობებიც.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

რაზმის ბრძოლის ველზე გაგზავნა. ორ აპრილს, საღამოს რვა საათზე, პარტიულ კლუბიდან ბრძოლის ველისკენ გაემგზავრა პარტიული რაზმი, რომელსაც მეტად მგრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა ამხ. იოსებ გედევანიშვილმა. შემდეგ, წასვლის წინ რაზმმა მუხლმოდრეკით ფიცი დასდო ეროვნულ დროშის წინაშე, რომ იბრძოლებენ მამულის საკეთილოდ უკანასკნელ წუთამდე და არ უღალატებენ ქართველ ერს, მის სახელს.

ოსმალეთი და ბოლშევიკები

ოსმალებმა სარაყამიში აიღეს, ბოლშევიკებმა—ბაქო. ოსმალეთმა ბათომი აიღო, ბოლშევიკებმა—სოხუმი. ოსმალეთი რკალივით ერტყმება საქართველოს, ბოლშევიკებიც ცდილობენ რკალივით შემოერტყნენ საქართველოს. ოსმალეთი სიკვდილით ემუქრება საქართველოს თავისუფლებას; ოსმალეთის საფრთხის წინაშე საქართველო ცდილობს ორგანიზაცია დაამკვიდროს რადგან გარეშე მტერთან ბრძოლა მხოლოდ იმ ერს შეუძლიან, რომელიც ორგანიზაციულად არის შეკავშირებული.

ბოლშევიკები დეზორგანიზაციას ახდენენ, შინაურ არეულ-დარეულობას სთესენ და ამით ხელს უწყობენ ოსმალეთის გამარჯვებას, ოსმალეთის ჯარების შემოსევას ჩვენს ქვეყანაში. ბოლშევიკებმა ისეთი დრო იხელთეს მუხანათური და მოღალატური თავდასხმისთვის, როდესაც ქართველი ერის შეიარაღებული ძალა მიმართულია საქართველოს საზღვრების დასაცავად. მაშ, ვის საქმეს აკეთებენ ბოლშევიკები? ისინი ოსმალეთის საქმეს აკეთებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები პოზიციებზე სდგანან და ცდილობენ თავიანთი ახალ-გაზდური მკერდით დაიცვან საქართველოს თავისუფლება, რევოლიუცია; სარევოლიუციო არმია ცდილობს ქართველ ხალხს შეუნარჩუნოს მოქალაქობრივი თავისუფლება, მიწა—მიწის მუშას; და აი, იმ დროს, როდესაც რევოლიუციონური ჯარი ფრონტს ამაგრებს, იმ დროს, როდესაც იგი ცდილობს დესპოტიური ოსმალეთის რეჟიმისაგან გადაარჩინოს საქართველო, იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხის საუკეთესო შვილნი საბრძოლველად არიან გასულნი, ბოლშევიკები მუხანათურად თავს ესხმიან, დეზორგანიზაცია, არეულ-დარეულობა შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში და ამით ნიადაგს უმზადებენ ოსმალეთის გაბატონებას საქართველოში.

ოსმალებმა სარაყამიში აიღეს, ბოლშევიკებმა—ბაქო. ამ ტემპით თუ გაგრძელდა ორი მხარის ბრძოლა, ალბათ, ოსმალები და ბოლშევიკები ტფილისს ერთად აიღებენ და, რადგანაც ოსმალეთსა და ბოლშევიკებს შორის სრული იდილიური თანხმობა არსებობს, საქართველოსა და მის თავისუფლებას ბოლშევიკები ფეშქაშად მიართმევენ ოსმალეთს.

გ. ბარელი.

სალამი დათიკო მოჭიაშვილის რაზმს

უზომი. სიხარულს იწვევს ჩემში ის ცნობა რომ შენი თაოსნობით შემდგარა ქართველ ისრაელთა რაზმი, რომელიც გვერდში უდგას დანარჩენ ქართველთ, სამშობლოს ღირსებისა და და თავისუფლების დასაცავად.

ვაჟკაცო გმირო დათიკო! ვაშა შენს მარჯვენას, რომ ჰქმენ საქმე სასიქადულო და შეადგინე საქართველოს დამცველი რაზმი იმ ქართველ ისრაელთა ახალგაზდებისაგან, რომელნიც თუმცა ომში არ არიან ძლიერ დახელოვნებულნი, მაგრამ მუდამ გამსჭვალული არიან ერთგულობით და გულწრფელი სიყვარულით ჩვენი კეთილშობილი და ტურფა სამშობლოსადმი!..

ეს სამაგალითო ფაქტი აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს ყოველ ჭეშმარიტს ქართველში და მეც მოგესალმებით ძმაო დათიკო შენ და შენს რაზმელებს იმ მეომრის მოსალმებით, რომელიც თქვენებრ მზად არის სული დალიოს სამშობლოს ხელუხლებლობისა და თავისუფლებისთვის თავგანწირულ ბრძოლაში...

მიხაკო ხანანაშვილი.

სოფლად და ქალაქად

გორი.

◆ ოთხშაბათს, 28 მარტს, სამარეს მიაბარეს ამ ერთი კვირის წინ ცხინვალში დახოცილ ს. კეცხოველის და სხვათა ნეშტი. დილიდანვე საარტილერიო მოედანთან, სადაც მიცვალებულნი ესვენენ (ლაზარეთში) ურიცხვმა ხალხმა მოიყარა თავი, როგორც ადგილობრივმა, მცხოვრებმა, ისე პროვინციიდან ჩამოსულებმა. დასაფლავება სამოქალაქო წესით იყო, უმღვდლოდ. ექვსი კუბო, გვირგვინებითა და ყვავილებით მორთული, საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა და ხალხის ცრემლი ნაკადულივით მოჩქრიალებდა. პროცესია მუსიკით და სარევოლიუციო სიმღერებით გაემართა სემინარიის ქუჩისკენ, შემოიარა გარეთუბანი და ერთობის ქუჩით მივიდა ხიდის ყურთან, სადაც ძველ საქალაქო ბაღში, ერთობის ქუჩის პირას საერთო სამარე იყო გათხრილი. ვინც გორში ყოფილა, ხიდის მარცხენა ყურთან, ბაღში ამართული იყო კლდიის ძეგლი. ეს ძეგლი ამ 4 წლის წინ გორის პოლკის უფროსის მეთაურობით დაიწყეს. ვგონებ 1803 წელს შემოსეულ ლეკებს ქართლში აეკუწათ 11 რუსი ჯარისკაცი და მათ ხსოვნის აღსანიშნავად იდგმებოდა ეს ძეგლი. ზემოდან უნდა ჰქონოდა დადგმული ლითონის ორთავიანი არწივი. ძეგლი ჯერ დაუმთავრებელი იყო. აი ამ ძეგლის ქვეშ მოათავსეს ხუთი მებრძოლი ს. კეცხოველი და სხვ. გიორგი მაჩაბლის ცხედრის გარდა, რომელიც იმავე საღამოს წაასვენეს ტფილისში. წარმოითქვა მრავალი სიტყვა, მრავალი ცრემლი დაიღვარა. ხალხი თვალცრემლიანი და ნაღვლიანი დაიშალა სახლებში.

◆ ცხინვალიდან და მის ახლომახლო სოფლებიდან მრავალი გამოქცეული მოაწყდა გორს. ზოგი მათგანი ტფილისისკენ მიეშურება. ზოგს კარლია მიუტოვებია სახლი და ისე გამოქცეულა. საჭიროა ზომები იქმნეს მიღებული, რათა გამოქცეულნი უკან დაბრუნდნენ სახლებში, თორემ სახლკარიც გაუნიავდებათ და ქალაქებში ჩვენც ცხოვრებას ერთი ორად გაგვირთულებენ, რადგან. არ არის ბინა, არ არის სანოვაგე.

◆ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, ჰაეროპლანებს იქ დიდი შიში გამოუწვევიათ. პირველად ჰაეროპლანის გუგუნი რომ გაიგონეს, პირჯვარს იწერდნენ თურმე და გაიძახოდნენ—იკურთხოს შენი სახელი, იკურთხოს... იესო ქრისტე დასეირნობს ცაში.

◆ 27 მარტს, საღამოთ, რკინის გზის სადგურზე დაპატიმრეს სანდრო კვალიაშვილი და ციხეში გაჰგზავნეს. გზაში როგორც ამბობენ, მან გაქცევა დააპირა. რაზმელებმა ესროლეს თოფი და მოჰკლეს. მას კონტრ-რევოლიუციონერობას აბრალებდნენ.

კახეთი

◆ ს. ურიათუბანში ჩაექვავეს სამი ქურდი, რომელთაც ბაქოდან აქლემებით მოტანილი ნავთი მოეპარათ, ხოლო აქლემებისათვის კუდები დაეჭრათ. როგორც ამბობენ ერთი მათგანი ალალმართალი ყოფილა თელავის მაზრის კომისარი ს. კობიძე თუმცა იმავე დღეს ჩამოვიდა, მაგრამ დროთი ვერ გაიგო და ვიდრე თელავიდან—25 ვერსია ჩამოვიდოდა, თვითგასამართლება უკვე მოახდინეს.

◆ ს. ვანთა. მესამე დღეს ვანთაშიაც დაიჭირეს ქურდობაში შემჩნეულნი და უნდა ჩაექვავებინათ, მაგრამ დროით შეიტყო თელავის მაზრის კომისარმა ს. კობიძემ, საჩქაროდ გაეშურა ვანთაში და ხელიდან გამოჰგლიჯა გააფთრებულ ბრბოს, რომელსა მიჰყავდათ ჩასაქვავებლად ხევში. ეს პირები ს. კობიძემ თან წაიყვანა თელავში და დაჰპირდა პასუხის გებაში მიცემა, ხოლო მცხოვრებნი დაამშვიდა და სიტყვა ჩამოართვა რომ შემდეგში ასეთ ნაბიჯს აღარ გადადგამენ.

ქ. ახალციხე.

◆ ერთი კვირაა, ქალაქის მცხოვრებთა ოჯახობანი მიდიან ტფილის და ქუთაისისკენ, რადგანაც ეშინიანთ ახლო მომავალში ომის დაწყებისა და მაჰმადიანთა შემოსევის. მხოლოდ მამაკაცებს არ უშვებენ სხვაგან გადასახლებლად, ბევრმა შეძლებულებმა, ორი თვით ადრე მოასწრეს ოჯახების გარე ქალაქებში გახიზვნა.

◆ შორაპნის წითელი გვარდია, რომელიც ამ ერთი კვირის წინედ მოვიდა აქ, ამ დღეებში უკვე თავიანთ ბინას უბრუნდება.

ხაშურის წითელი გვარდია კი უკვე წავიდა თავის ბინაზე, რომელმაც ერთი, ქართ. წარმოდგენაც გაგვიმართა ახალციხეში.

◆ ხვალ ზეგ გამოცხადდება ახალი მობილიზაცია. გენერ. არჯევანიძემ ინტერპარტიულ საბჭოს სთხოვა დახმარება მობილიზაციის საქმეში.

◆ თვეზე მეტია ჩვენში პურის ხორბალი სრულიად არ მოიპოება და ხალხი ჯინჯილას (ქერიდან გამომცხვარი) სჭამს.

ზოგი რამ

ძველი რეჟიმი, რუსობის მფარველი და უცხო ტომელ ხალხთა მჭამელი რეჟიმი დაემხო, მაგრამ სიავე, რაც იმან სთესა, ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, ქართველი ხალხისთვის, კალმით აუწერელი და ენით გამოუთქმელია. ამას კარგად ჰმოწმობს, სხვათა შორის, კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის ფაქტები, რომლის გამომზეურებაც ამ ჟამად მეტად საჭიროა ჩვენებურ რუსთა საზოგადების ზოგიერთ ხულიგან წევრთა, რომელნიც ვერაგულის ღონისძიებით სცდილობენ ველიკოროსთა ბატონობის კვლავ აღდგენას.

დიდი ხნის სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ საქართველოს მკვიდრნი ტომისა და სარწმუნოების განურჩევლად ერთ კალაპოტში ჩააყენა. ცოტად თუ ბევრად ინტერესთა ერთობა ჩამოაგდო მკვიდრთა შორის ასე რომ სახელმწიფო არსებობისთვის სახიფათო ტეხასა და ბორგვას ადგილი იშვიათად ჰქონია. მაგრამ მოსკოვი ჯერ კიდევ ვიდრე გაბატონდებოდა, თავისი წაჩქიდე წამკიდებლის პოლიტიკით ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას და თავისუფლებას ძირს უთხრიდა ხოლო გაბატონდა თუ არა, მისი აგენტების უმთავრესი მისწრაფება შეიქმნა ძირფესიანად ამოგდება ქართველთ სახელმწიფოებრიობის კვალისა და მოსდგნენ ყოველი ქართველის და ყოველი ქართულის ცხადლივ გმობას, დამცირებას და უგულებელ ყოფას, ხოლო რუსის ელემენტის გაძლიერებას, ასე რომ საფარველ ქვეშ მოქცეულ რუსობას, რომელსაც ცხრა მთას იქიდან იბარებდნენ, თავი ეგრძნოთ მკვიდრთა ბატონად არა თუ სახელით, არამედ მდგომარეობითაც. მოსკოველ აგენტებს რომ საქმე არ გამოჰლეოდათ, მოჰყვნენ ტომის ტომზე, ძმის ძმაზე წასისინებას. ოს ქართველთ, აფხაზ ქართველთ და სომეხ ქართველთ ანტაგონიზმი მაშინდელია. რუს ქართველთა უთანხმოებაც მათი ღვარძლის ნაყოფია, ამის დასამტკიცებლად კმარა მარტო ის ამბებიც, რაც მომხდარა ვორონცოვ-დაშკოვის მეფის ნაცვლობის და ამ რევოლიუციის დროს.

რევოლიუციამ ქართველ ხალხს თავის ტერიტორიაზე სუვერენობის უფლება მიანიჭა, დღეს ჩვენი ხალხი აღმაშენებელ მუშაობას უნდა შეუდგეს უნდა შეჰქმნას დროების კვალობაზე თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, იმავ დროს კი ის ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც მის ტერიტორიაზე სცხოვრობენ, არა თუ არ ჰკმარობენ, რომ ისარგებლონ უმცირესობის უფლება, ე. ი. პერსონალი ავტონომიის უფლება, არამედ სუვერენობის უფლებას გაუტაცნია იგინი და სრულის ტერიტორიას იმაჯვნენ. უტყუვრად შეიძლება ითქვას, რომ არც-ერთი დასახელებული ეროვნული უმცირესობა, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები, არ იზიარებს იმ აზრს, რომ ქართველობამ თავიანთი სახელმწიფოებრიობა შეჰქმნან თავიანთ საკუთარ, თავიანთ წინაპრების სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ ტერიტორიაზე, რომელსაც ჯერ ჯერობით ბედშავი საქართველო ეწოდება.

მაშ რა უნდა ჰქმნას ქართველობამ? თავისი სუვერენობა თავის ტერიტორიაზე უნდა განახორციელოს რადაც უნდა დაუჯდეს. თუმც აწმყო ასეთი აქვს საქართველოს, მომავალი მაინც მისია. მისი ბედნიერებისათვის თავგანწირულ მის შვილებს თავისუფლად შეუძლიანთ გაიმეორონ ამირანის სიტყვები:

დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი,
ჩემი ბედი ასე სწერისა.

პეტრე მირიანაშვილი.

ცხინვალის ამბები

საგანგებოდ გაგზავნილ კორესპონდენტისაგან.

აოხრებული ცხინვალი მწარედ დასტირის დაღუპულ გმირებს და განადგურებულ ქონებას. მაგრამ მისთვის ყველაზე უფრო მწველია ბედი გიორგი მაჩაბლისა, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული მთელს ქართლში.

პირადად მეც ვიცნობდი გიორგის, თუმცა ძალიან ახლო არა. ნეტავი სულ არ მცნობოდა. ალბად უფრო ადვილი ასატანი იქნებოდა მისი დაკარგვა.

დაბალის ტანისა, სქელი, მაგრამ ფრიად ცოცხალი და მოძრავი, მკლავღონიერი, მუხლი—მაგარი, ზრდილობიანი, გაბედული და უშიშარი, სათნო და მეგობრების მოყვარული,—აი გიორგი როგორც კერძო კაცი.

საზოგადოებრივი სახე გიორგისა უფრო ნათელი და კაშკაშაია.

კარგი ქართველი და მამულიშვილი, ხალხის ღრმად მოყვარული და მისთვის თავდადებული, რომელიც მოუთმენლად მოელოდა თავისი სამშობლოის და კერძოდ დემოკრატიის განთიადს.

საზოგადოებრივ სარბიელზე იგი ჯერ კიდევ 1905 წელს გამოდის, როდესაც აარსებს წითელ რაზმს ქართლში იმ ჟამად დაარსებულ შავის რაზმის საწინაამდეგოდ. რაზმის მოქმედება ნაყოფიერია იმ დრომდე, სანამ მას სათავეში უდგას გიორგი.

დგება რეაქცია და გიორგიც მსხვერპლი ხდება ძველის რეჟიმისა. მას აპატიმრებენ. ერთხანს დახრჩობაც მოელის, მაგრამ ორის წლის პატიმრობისა და ტანჯვაწამების შემდეგ იგი სიცოცხლეს შეინარჩუნებს.

როდესაც რევოლიუციის დღეები დგება გიორგი გულხელ დაკრეფილი არ რჩება. იგი სათავეში უდგება რევოლიუციას თავის მშობლიურ გორის მაზრაში და მთელის თავის არსებით სცდილობს, რომ ხალხმა შეინარჩუნოს მოპოვებული თავისუფლება და რაიმე ხიფათის არ გადააწყდეს.

ამ ერთის თვის წინად, როდესაც ქართულ პოლკის გახულიგანებულმა ნაწილმა გორში მოინდომება იქაური კომისარიატის აკლება და შავის მიზნისთვის იარაღის გატაცება, გიორგი იშვიათს თავგანწირულებას და ვაჟკაცობას იჩენს. იგი ტყვიის მფრქვეველით წინ უხვდება გამხეცებულ ბრბოს ჯარისკაცებისას და განფანტავს.

რასაკვირველია გიორგი გორში ვერ გაჩერდებოდა იმ დროს, როდესაც ცხინვალში არეულობა დაიწყო, მით უფრო, რომ ის სამაზრო კომისარიც იყო მას სხვის ხელით ნარის გლეჯა არ უყვარდა და ამიტომ ცხინვალს თვითონ მიემგზავრება წითელ გვარდიელებით.

როგორც ყველანი ადასტურებენ, ამ დროს გიორგის ფიქრი სულ ის იყო, რომ საქმე როგორმე უსისხლოდ გათავებულიყო და თავის თვალით არ ენახა ის, რაც რუსეთის სხვა და სხვა ადგილას მოხდა. ეს თვით გიორგის ბუნებას შეესაბამებოდა.

სურვილი და სინამდვილე ჩვენ დროში უფრო ხშირად სულ სხვა და სხვა არის და გიორგიც ცხინვალში ასვლის უმალ რწმუნდება, რომ საჭიროა სიფრთხილე და წინასწარ ღონისძიებათა მიღება.

ამავ დღეს, 17 მარტს, საღამოთი გიორგიმ, როგორც ილია მაისურაძე და სხვები ამოწმებენ, თავის ხელით გაამაგრა ტყვიის მფრქვეველები ოთხს ადგილას მათ შორის ქართველების ეკლესიაზე და ხიდის ყურზე, გორის მოსასვლელზე და ყველგან შესაფერი განკარგულება გასცა.

გიორგის ლამაზ სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, როგორც გადმოგვცეს, ასეთი ყოფილა:

უკვე გამოირკვეულია, რომ გამარჯვება რჩება გამხეცებულ ბრბოს. წითელ გვარდიელებს ტყვია წამალი აღარა აქვთ და ამიტომ თავის გადარჩენაზე და ფიქრობენ.

გიორგი ამ დროს ვეფხვივით იბრძვის. ჯერ ხიდის ყურზე ტყვიის მფრქვეველს ამუშავებს. შემდეგ აქ დააყენებს კაცს და თვითონ გარბის მეორე მხარეს, აამუშავებს ეკლესიაზე მდგარ ტყვიის მფრქვეველს, რამდენადმე მოიგერიებს ბრბოს იერიშს და ისევ ხიდის ყურზე გამორბის, საიდანაც ცუდი ამბავი მოსდის. ხიდის ყურზე უკვე შემომდგარია ბრბო და ხალხის ერთგულ შვილებს ჟლეტავს.

ტყვიის მფრქვეველთან მდგარი გვარდიელი ამ დროს დაიჭრება კიდეც და გიორგიც მას მიეშველება.

ამ დროს გიორგი ხედავს თავგანწირულ ბრძოლას კოსტა კაზიშვილისას, რომელსაც მძიმედ დასჭრიან კიდეც ხმლით. გიორგი მაუზერს იძრობს და ახლა კაზიშვილს მიეშველება, მაგრამ რამდენჯერმე გასროლის შემდეგ თვითონაც დასჭრიან ტყვიით ორივე ფეხში.

დაჭრილი გიორგი ამხანაგებს საავადმყოფოში მიჰყავთ. გზაზე გიორგი თავის მაუზერს ამხანაგს გადასცემს და ეტყვის:

— წაიღე ეს მაუზერი და თუ სიკვდილს გადაურჩე, ისევ დამიბრუნე; თუ არა და შენზე ალალი იყოსო.

საუბედუროდ ამ ამხანაგსაც მოკლავენ.

ბრბო თავისას არ იშლის და თავგამოდებით დაეძებს ყველა მეთაურს და სიცოცხლეს უსპობს.

გამხეცებული ნაძირალები თოფებით და ხანჯლებით საავადმყოფოში გარბიან და გიორგის დაეძებენ. ამ დროს გიორგის ჭრილობები უკვე შეხვეული აქვს იგი ხედავს, რომ ხსნა აღარ არის, იძრობს უბიდან მეორე რევოლვერს „პარაბელიუმს" და ბრბოს გამოეჭრება. პირველი და მეორე ტყვია გიორგისგან ნასროლი, მიზანს აღწევს და ორი ნაძირალი დაეცემა ძირს, მაგრამ ამ დროს გიორგისაც არტყამენ ტყვიას და იგიც წაიქცევა.

ამის შემდეგ ნაძირალები მიეხვევიან გიორგის, და საშინლად აწამებენ და მთელს სხეულს დაასახიჩრებენ.

უკანასკნელი სიტყვები გიორგისა ასეთია:

— ეჰ, რა მეგონა და სადა ვკვდები.

ი. ბ—ლი.

მუშათა წერილები

თანამედროვე მომენტი

მდგომარეობა მეტად გართულდა, რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია, ყველგან თითქმის ანარქია ფეხს იკიდებს, ყოველ წამს ჩვენს ქვეყანას განსაცდელი მოელის. თითქმის ყოველ დღე სოფლებში ხდება უწესრიგობა, ძარცვა-გლეჯა და მრავალი ამისთანა სხვა.. მეზობელი ერი თავს გვესხმის ჩვენ, აოხრებს სოფლებს, ქალაქებს რა მიზეზია ასე მტრულად მოპყრობის? სხვა და სხვა ერის და ჯურის შოვინისტები და თავად-აზნაურობა ეწევიან პროვოკაციას თავიანთ ბნელ მასაში უნდათ რომ ამ პროვოკაციით ისარგებლონ, და შეინარჩუნონ ძველი ბატონობა თავიანთ ქვეყანაში, რათა მათ მიწები არ ჩამოერთვას. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენი დემოკრატია არ მისცემს ნებას შოვინისტებს და ბატონ-ყმობის მოტრფიალეთ რომ ეგრე თავისუფლად და აშკარად კონტრ-რევოლიუციონურად ითარეშონ თავიანთ ქვეყანაში, მალე მოუღებენ ბოლოს, ოსმალეთის იმპერიის სურს ჩაყლაპოს ჩვენი ქვეყანა, უნდა ბათომი არტაანი ყარსი, მაგრამ ამ იმპერიალისტების სურვილებსაც ჩვენი დემოკრატია გაუწევს ანგარიშს, სასტიკად შეებრძოლება და იარაღს არ დაყრის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე რათა დაიცვას სამშობლო და რევოლიუცია.

ჩვენს ქვეყანას მოელის სიმშილობა, არსაიდან არ არის სახსარი, ერთადერთი წყარო კავკავია, საიდანაც ცოტა იმედი იყო. ეს სახსარიც წაგვართვეს ბოლშევიკებმა, სურთ რომ სიმშილით ამოხოცონ საქართველო, რომ ბოლოს მათ ჩაიგდონ ხელში და შეუერთონ ველიკოროსთა ქვეყანას. ჩვენმა გლეხებმა ეს განსაცდელი უნდა შეიგნონ და უნდა დახნან ყანები, რათა განსაცდელი ააცდინონ ჩვენს ქვეყანას.

საჭიროა ყველა სოციალისტურ პარტიების შეერთება და ერთად ხელიხელ ჩაკიდებული შეუპოვარი ბრძოლა გარეშე მტრებთან.

მუშა ნიკო მაისურაძე.

მეგრელ ახალგაზდებთა საყურადღებოდ

არა მგონია, რომ იყოს ისეთი ახალგაზრდა სამეგრელოში, რომელსაც ან თვითონ არ წაეკითხოს გაზეთის ფურცლებზე დაწერილი გულშემზარავი სიტყვები სამეგრელოს ახალგაზრდებზე ან და არ გაეგონოს სიტყვიერად მაინც. ყველას აკვირვებს ასეთი საქციელი მეგრელებისა.

ნუ თუ მეგრელებო, თქვენში განქრა ის ძველი გმირული სული, რომელიც შიშის ზარს სცემდა მტერს? ნუ თუ ისე დადუნდა თქვენი თავმოყვარეობის გრძნობა, რომ უჯირებთ ხელმგანებს? ნუ თუ ისე ღარიბია სამეგრელო განვითარებულ ძალებით, რომ ვერ ალაგმეთ ძველი დახავსებული მთავრობის აგენტები? ნუ უგდებთ ყურს ნაძირალებს. ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც იღუპება სამშობლო და სისხლით მოპოვებული თავისუფლება, იმ დროს, როცა თვალწინ გვიდგას სისხლის მსმელის მუხტალი ხელით ამართული მახვილი და გვემუქრება დედამიწის ზურგიდან აღგვას—მაშინ ნუ თუ არ იღებთ ხმას თქვენი ძვირფასი სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად? ნუ თუ შეგწევთ იმდენი გულქვაობა, რომ ამ საშიშროებას შორიდან უყუროთ?

შორს ამხანაგებო თქვენგან ღვარძლიანი აზრები! ნუ აჰყვებით პროვოკატორებს, ნასტრაფნიკელ ძველი მთავრობის ლაქიებს. ალაგმეთ ისინი! მიუტანეთ მსხვერპლი ტანჯულ სამშობლოს—ეს მცირე გამოთქმა მით უმეტეს საყურადღებოა წალენჯიხის და აბაშის რაიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებისთვის.

სირცხვილი მეგრელო ახალგაზრდებო, მეგრელებო, სირცხვილი გაუგონელი, რადგანაც ჩვენ ამ საბედისწერო ჟამს, როცა იღუპება ჩვენი „მე"-ობა და თავისუფლება, გულზე ხელდაკრეფით შევყურებთ მის განსაცდელს...

გამოერკვიეთ ამხანაგებო სილეთის ძილისაგან და ნუ შეარცხვენთ ჩვენს ერს.

გაეშურეთ იმ ამხანაგებთან, რომელნიც თოფქვეშ დგანან და იცავენ თავისუფლებას და სამშობლოს. შეუერთდით მათ და ერთხმად შეჰფიცეთ სამშობლოს და ტანჯულ ერს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდი დაიცავთ სამშობლოს და მოიხდით თქვენს წმინდა მოვალეობას.

დაგვიანება დამღუპველია, მაშ გაეშურეთ ძვირფასნო ამხანაგებო და დაიცავით თავისუფლება. მეც თქვენთან ერთად ვარ და ვიქნები უკანასკნელი ცხოვრების წუთებამდის.

ჯარისკაცი ი. მ. ლაგვილავა.

მოწერილი ამბები.

ახალციხე. თუმცა 13 მარტს შემდეგ, თითქმის თვალსაჩინო ამბები აღარა მომხდარა და ბრძოლის ოპერაციები შესწყდა, როგორც ქალაქში ისე მაზრაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მშვიდობიანობა დამყარდა აქეთ. პირიქით, ასეთი სიჩუმე, უფრო მეტს შიშს იწვევს და მოსალოდნელია ახლო მომავალში ასეთი უბედურება დატრიალდეს, რომ მსგავსი ახალციხეს არ ენახოს.

რაც მეტი სიჩუმეა და აღარ მოქმედებენ მაჰმადიანები, არ ესხმიან ქრისტიან სოფლებს და აღარ აწიოკებენ მცხოვრებლებს, აღარ ძარცვენ და არ ხოცვენ ვისმეს, როგორც ამ ერთი კვირის წინ, მით უფრო ემზადებიან მომავლისათვის, რომ უფრო რთულს ოპერაციებს შეუდგენ. როგორც ხმა ისმის ფოცხოვისა, ჩილდირისა და ჯავახეთის მაჰმადიანები თავს ერთად იყრიან, გროვდებიან ფოცხოვის რაიონში, იქ თურმე არტაანიდან გადმოტანილი ზარბაზნებიცა ჰქონდათ როცა იხელთებენ დროს, ეპირებიან ახალციხეზე იერიშის მიტანას.

იმასაც კი ამბობენ, რომ ახალციხეზედ ჯერ არ აპირებენ წამოსვლასო. ის დაგროვილი ძალები ჯერეთ აჭარისაკენ მიდიან და აჭარლებთან ერთად ბათომისაკენ ილაშქრებენ. ოსმალების მოსაშველებლათ, ადგილობრივი სოფლების ახალგაზრდობა, უკვე ათი დღეცაა წასულა აჭარაში, რამდენიმე ათასი სული და იქ კიდეც მოქმედებსო, ასე რომ დღეს ახალციხის რაიონში მეომარ მაჰმადიანთა რიცხვი დიდად შესუსტებულა თურმე. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მათ მიერ დაჭერილ პოზიციებზე, როგორიც არის აწყვერი, არასთუმანი და ასპინძა, ამ ხანად ძალიან მცირე ძალები ყოფილან დარჩენილი ასე რომ ჩვენი ჯარები, რომ წავიდნენ ახლა ამ პუნქტების დასაჭერად და რომ შიგ ჩადგნენ, იქ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ მათი მცირე რიცხოვანი ჯარები. ამ ადგილების დაკავებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება: ჯერ ერთი რომ, აქ ჩამდგარი ჩვენი ჯარები გაჰკვეთენ გზებს ბორჯომისაკენ, ახალქალაქისაკენ და ქუთაისისაკენ. მეორედ ამას დიდი მნიშვნელობა ექნება იმითომ, რომ ჩვენი ჯარები მაჰმადიან სოფლების ცენტრში მოექცევიან და მათი ბელადი—ბეგები თავიანთ იდუმალ პროპაგანდის მოძრაობის მეთვალყურებს ვეღარ შესძლებენ, რადგან ჩვენი ჯარების სიახლოვე ხელს შეუშლის. სხვა არა იყოს რა, [illegible] დამდგომა, ხვნა თესვის დროც, ყველა გლეხი [illegible] იქნება, მაშინ მინდვრად სამუშაოზე გავიდეს და ამ [illegible] შეიძლება [illegible] [illegible] დეს მოშავე [illegible]

ძველი რევოლიუციონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის მაზრის კომისარს ბ. გელაშვილს.

დაგვიანებით წავიკითხე თქვენი წერილი „ერთობის“ 64 ნომერში მოთავსებული და ამიტომ ჩემმა პასუხმაც ცოტა დაიგვიანა.

„სახალხო საქმის“ 178 ნომერში დასტამბულ ჩემს წერილს სიღნაღის მაზრის კომისარიატის „მოღვაწეობის“ შესახებ, როგორც სჩანს, ძლიერ გაუბრაზებიხართ, წაკითხულის გაგების უნარიც კი დაგკარგვიათ და ზოგს ისეთს რამეს მახვევთ, რაც ჩემის წერილიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს. მაგ., თქვენს წერილში რედაქციის მიმართ სწერთ: ავტორი „ანარქიის შემოჭრას მაზრაში კომისარიატის უმოქმედობას აწერს. პოლიტიკური ბალღი უნდა იყოს ადამიანი, რომ ანარქიის მიზეზად კომისარიატი დაასახელოსო“.

ვიცი, კარგად ვიცი, რომ თქვენ პოლიტიკური ბალღი კი არა ხართ, თქვენ პოლიტიკური ბრძენთა ბრძენი ბრძანდებით და ყოველ შემთხვევაში წაკითხულის გაგება და სწორედ გადმოცემა მაინც მოგეთხოვებათ. გადაიკითხეთ ხელახლად ჩემი წერილი, დაიდევით თქვენი პატიოსანი ხელი პატიოსან გულზე და გულწრფელად სთქვით, ჩემს წერილში ანარქიის მიზეზად კომისარიატი დავასახელე? ჩვენს მხარეში ანარქიის შემოჭრის და გაძლიერების შესახებ ვწერდი: „მაზრაში ანარქია ძლიერდება. სამაზრო ადმინისტრაცია კი ან ზის უმოქმედოთ გულხელდაკრეფილი და უცდის ზღვის პირს გამორებს, ან თავის უტაქტობით პირიქით ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებას“-მეთქი და საბუთებიც მოვიყვანე „კომისარიატის უმოქმედობისა, სახელდობრ უმთავრესად ის, რომ თქვენ ხშირად სტოვებდით მაზრას, და თქვენ მიერ ანარქიის ხელისშეწყობისა—თქვენი სამარცხვინო როლი ვ. ნაცვლიშვილის ბოდბისხეველების მიერ თვითგასამართლებაში. აქედან ნათლადა სჩანს, რომ ანარქიის მიზეზად კი არა ვთვლი კომისარიატს, არამედ ხაზს ვუსვამ ერთის მხრივ კომისარიატის უმოქმედობას და მეორე მხრივ თქვენს უტაქტო საქციელს ვ. ნაცვლიშვილის ისტორიაში, რამაც იმსხვერპლა საბრალო. ვერ წარმომიდგენია, რომ ასეთი მარტივი აზრი თქვენ ვერ გაგეგოთ. მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ განგებ გადაამახინჯეთ ჩემი აზრი.

აზრის დამახინჯებასთან ერთად დემაგოგობაც კარგი შეგძლებიათ. თქვენ, მაზრის სათავეში მდგომი ადმინისტრატორი, რომელსაც მეტი მოეთხოვება, ვიდრე უბრალო დემაგოგ პროპაგანდისტს, არ ერიდებით მდაბალ ჯურის დემაგოგობას. თქვენ სწერთ: „როგორც კი პოლიტიკურ ცხოვრებაში სასწორი მარჯვნით იხრება, ისინი (სოც.-ფედ.) სოციალ-დემოკრატების ლანძღვა-გინებას მოჰყვებიან ხოლმეო“. ბრძენო პოლიტიკოსო! სად იყო ჩემს წერილში რაიმე მსგავსი ლანძღვა-გინებისა? მე ვაკრიტიკებდი თქვენს „მოღვაწეობას“. განა კრიტიკა თქვენის მოღვაწეობისა ლანძღვა-გინებაა? ლანძღვა-გინება თქვენებში მოიკითხეთ. ჩვენ კი, გინდ ძალიანაც გაგვიწყრეთ, კრიტიკაზე ხელს არ ავიღებთ, ვიდრე ეს საჭირო იქნება. სოც.-ფედერალისტები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას, რომელიც ჩვენის ერისათვის საზიანო და დამღუპველ პოლიტიკად მიაჩნდათ, მაშინაც, როდესაც თქვენი პარტია თითქმის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონი იყო საქართველოში და როდესაც ხულიგანთაგან გალიზიანებული ბრბოები ჩვენს პარტიულ ბიუროებს იკლებდნენ და ჩვენს სარევოლიუციო დროშებს ხევდნენ; ვაკრიტიკებთ დღესაც და გავაკრიტიკებთ მომავალშიაც, ვიდრე ეს საქმისთვის საჭიროდ მიაჩნიათ. რად გეშინიათ კრიტიკისა?

მე ჩემს წერილში სამაზრო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ გარკვეული დასაბუთებული ბრალდებები წამოვაყენე. აბა გულწრფელად სთქვით, განა ყველაფერი იქ ნათქვამში ხალასი ჭეშმარიტება არ არის? თქვენ ამ ბრალდებებზე საზოგადოდ გაკვრით ამბობთ, არც ერთი მართალი არ არისო და გაბედულება გაქვთ სამედიატორო სამართალში გამომიწვიოთ. მე საწინააღმდეგო არა მაქვს რა. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, დავამტკიცებ ყველაფერს [illegible] ფაქტებით. მაგრამ წინასწარ მინდა გამოვარკვიო, თქვენ ამ ბრალდებათაგან სახელდობრ რას ჰყოფთ უარს და რამდენად. ყველაფერზე მუხლობრივ მიპასუხეთ.

თქვენ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით ეხებით ჩემს წერილში ხაზგასმულ იმ გარემოებას, რომ თქვენ ხშირად მაზრაში არ იმყოფებოდით ხოლმე. თქვენ სწერთ: ავტორმა „კარგად იცის, რომ ქუთაისში არ დავსეირნობ (თუ არ დასეირნობთ, ხომ დადიხართ? ნ.) და თუ კომისარიატში ხშირად ვერა მხედავს, ეს კი მართალია, რადგანაც მე ხალხთანა მაქვს საქმე და არა გაყინულ კედლებთანო“. და ცოტა ქვევით განაგრძობს პათეტიურად: როცა წერილის ავტორს „მე ქუთაისში ვგონივარ სასეირნოდ წასული, იქვე ახლო ბადიაურში ვყოფილვარ პროვოკაციის ჩასაქრობადო“.

ჯერ ერთი თქვენი ცოცხალი ტყუილი ის, რომ, როცა მე თქვენ გიკიჟინეთ მაზრას ხშირად სტოვებთო, როგორ შეგეძლოთ თქვენ მაშინ ბადიაურში ყოფილიყავით პროვოკაციის ჩასაქრობად, როდესაც ბადიაურის ამბავი ჩემი წერილის შემდეგ მოხდა? ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, ნათქვამია. ამისთანა ტყუილი არც მაზრის კომისარს ეპატიება.

გარდა ამისა, საიდან ამოაძვრინეთ თქვენ ეს ქუთაისი, ვითომც მე თქვენ ქუთაისში მეგულებოდით სასეირნოთ წასული? ქუთაისზე და იქ თქვენს სეირნობაზე მე ხომ კრინტიც არ დამიძრავს ჩემს წერილში რომელსაც თქვენ ასე გაუწიწმატებიხართ! ჰა, ხომ არა გენიშნათ რა?

გაყინულ კედლებთან ხომ არა მაქვს საქმეო,—ბრძანებთ. აბა გულწრფელად სთქვით, განა თქვენ მართლა გგონიათ, რომ მე იმაში გდებდით ბრალს, რატომ კომისარიატის კედლებს არ მიეკარებით? მე იმას გიკიჟინებდით, რომ, როცა ანარქიამ მაზრაში თავი წამოჰყო, დღითი დღე ძლიერდება და საშიშ სახეს ღებულობს, განა მოსათმენია მაზრის სათავეში მდგომი ადმინისტრატორი ისე სისტემატიურად, როგორც თქვენა შვრებოდით, ხანგრძლივ ანებებდეს თავს მაზრას და სხვაგან, ე. ი. მაზრის გარეშე დაიარებოდეს მეთქი? ჩემმა წერილმა თქვენ სიღნაღის მაზრას მიგაკრათ ჯერჯერობით და მას შემდეგ აღარა სტოვებთ მაზრას ძველებურათა. მაგრამ წინად კი, იმ წერილის დასტამბვამდე, განა თქვენ მართლა ხშირად თავს არ ანებებდით მაზრასა? თქვენის წერილის მიხედვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თქვენ ამას სრულიად უარჰყოფთ. მე კი ვამტკიცებ, რომ თქვენ ხშირად არ იმყოფებოდით მაზრაში. მაგ. ქუთაისი რომ დაარბიეს, იმ დროს თითქმის მთელი თვის განმავლობაში იყავით თუ არა თქვენ მაზრის გარეშე? სხვა დროსაც ხშირად არა სტოვებდით მაზრასა? პირდაპირ მიუკიბ-მოუკიბავად გადაჭრილი პასუხი მომეცით, გარკვევით მიპასუხეთ ან ჰო, ან არა და ბანზე სიტყვას ნუ შეაგდებთ. თუ მართალია ის, რომ თქვენ ხშირად მაზრაში არ იმყოფებოდით, თქვენ თითონ ნორმალურ მოვლენად მიგაჩნიათ, რომ მაზრაში ანარქიის გაძლიერების ჟამს მაზრის სათავეში მდგომი ადმინისტრატორი ხშირად ანებებდეს თავს თავის რაიონს და ისიც ხანგრძლივ?

თქვენ მეკითხებით პათეტიურად: „ვინ ჩააქრო ბადიაურის პროვოკაცია? ვინ ჩააქრო ლაგოდეხის პროვოკაცია? ვინ ჩააქრო ყაზახის მაზრისა და სიღნაღის მაზრის შორის პროვოკაცია?“ მერე სვამთ კითხვას: „იცის ავტორმა ესაო?“ და თქვენვე იძლევით პასუხს, არაო.

ამის შესახებ თავდაპირველად უნდა გკითხოთ, რომ ბადიაურის და სიღნაღ-ყაზახის მაზრის შორის მომხდარი ამბები ჩემის წერილის დასტამბვის შემდეგ მოხდა, და თქვენსავით გულთმისანი ხომ არა ვარ, რომ ადრევე მცოდნოდა. გარდა ამისა თქვენ ყველგან და ყველაფერში, როგორცა სჩანს, პროვოკაცია გელანდებათ, გინდ უბრალო ხულიგანობასთან და ცარცვა-გლეჯასთან გვქონდეს საქმე, და მეტად გაზვიადებული წარმოდგენა გქონიათ თქვენს საკუთარს თავზე, როგორც პროვოკაციის ამომფხვრელზე. ღმერთმა ქმნას, რომ თქვენ მართლა უმბერაზი რამ დევგმირი იყოთ, პროვოკაციისა და ყოველგვარ სისაძაგლის ძირიანად მოსპობის შეძლე! დამეწმუნენით, ეს ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ვაი რომ ეს ცარიელ სიტყვად რჩება და სინამდვილე სხვას ღაღადებს! თქვენ უფრო სოც.-ფედერალისტების უსაბუთოდ ლანძღვა-გინების უნარი გქონიათ, რაიცა სჩანს იქიდან, რომ თქვენ ყალბათ აშუქებთ სიღნაღ-ყაზახის შორის მომხდარ ამბავს, დაუმსახურებლად ნათლავთ ხუნაშვილ პროვოკატორად და მის რაზმს ქურდ-ყაჩაღებად.

„ვანო ნაცვლიშვილის ხვეწნებით თავის თავი უფრო გაიმტყუნაო“, სწერთ თქვენ. განა ვ. ნაცვლიშვილი, როდესაც მას ხალხი ემუქრებოდა თვითგასამართლებით, თქვენმავე თანაშემწემ მ. ახმეტელაშვილმა არ დაატუსაღა, რომ იგი როგორმე ხალხის რისხვისაგან გადაერჩინა? და განა თქვენ ის უკანვე არ გადაეცით ხალხს, თუმცა საბრალო გეხვეწებოდათ, აქვე მომკალით და ბოდბისხევში ნუ გამგზავნითო? განა ამართლებთ თქვენს ამგვარ უტაქტო საქციელსა? ის არა სჯობია, გულწრფელად აღიაროთ და სთქვათ, რა ვქნა, შევცდი, უცოდველი სხვა ვინ არის, რომ მე არ შევცდარიყავო. ეს უფრო უჯობესი არ იქნებოდა? დანაშაულს ოდნავ მაინც შეგიმსუბუქებდათ.

განა ბოდბისხეველების მიერ ვ. ნაცვლიშვილის თვითგასამართლების გამო ბოდბისხევის საზოგადოებას თქვენ (სოციალ-დემოკრატებმა) ბოიკოტი არ გამოუცხადეთ, როგორც ჩემს წერილში იყო აღნიშნული და რაიც მე დიდ სიბრძნედ არ ჩაგითვალეთ? ნუ თუ ამასაც უარჰყოფ? სადაა, სირცხვილო, [illegible]?..

გარკვევით მომეცით პასუხი მუხლობრივ ყველა იმ ბრალდებაზე, რომელიც ჩემ წერილში იყო წამოყენებული. მხოლოდ თავი ანებეთ მიკიბ-მოკიბვას, დემაგოგიას და სოც.-ფედერალისტების ტყუილ უბრალოდ ცილის წამებას და ლანძღვა-გინებას, რაც, ჩემის აზრით, მაზრის სათავეში მდგომ ადმინისტრატორს სრულიადაც არ შეშვენის. ბრალდებები შემდეგი იყო: უმოქმედობა კომისარიატისა, უმაღლეს მთავრობის განკარგულებათა უყურადღებობა, კომისარიატში გამეფებული უწესრიგობა, მაზრაში თქვენი ხშირად არ ყოფნა, ხალხში თვით გასამართლების გახშირება და ვ. ნაცვლიშვილის თქვენ მიერ ბოდბისხეველების ხელში მიცემა, რაიც ანარქიის ხელის შეწყობად მიმაჩნია და ბოდბისხევის საზოგადოებისთვის ბოიკოტის გამოცხადება.

აუცილებლად საჭიროა არა ორჭოფული, არამედ გარკვეული პასუხი, ამ ბრალდებათაგან რომელსა სცნობთ სამართლიანად და რამდენად და რომელს სიყალბით. თუმცა სამედიატორო სასამართლოს გასარჩევი არა მეგულება რა, ისე ნათელია ყველაფერი, მაგრამ მაინც მზად ვარ გამოგყვეთ სამართალში, სადაც ყველაფერს დაგიმტკიცებთ. მედიატორებს დავასახელებთ, როცა მოვისმენ თქვენს პირდაპირ პასუხს დასმულ კითხვებზე.

ნ.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო! თქვენ პატივცემულ „სახ. საქმის“ 16 მარტის ნომერში (196) საპ. საბჭოს მდივანი ილ. [illegible] ვითომ პასუხს იძლევა ჩემ წერილზე „[illegible] სასულიერო სასწავლებელზე“, სადაც, სხვათა შორის მას წ. მარკოზაშვილის სკოლის შენობაში მოკალათების შესახებ უთითებდი [illegible] ჯერ არს, მაშინ, როცა სოფლის [illegible] მშობლების შვილები გზათა უკან არიან დაფანტულნი. ვის უფრო [illegible] მი[illegible] და [illegible] [illegible] უ[illegible]ობა?!

[illegible]—არს [illegible] ბ. ბაკურაძე [illegible] და [illegible], გ. ლ—ს წერილი სიმართ[illegible] არ შე[illegible], მ. წ. მარკოზაშვილი სკოლის შენობა და ნ[illegible] არა [illegible] ლიდად ე იმდენად მართალია, როგორც ის, ვითომც მარტო [illegible] ოთახი უჭირავსო. ეს ხომ ყველამ იცის, რომ მარკოზაშვილი მთელი ცოლ-შვილით მარტო ერთ ოთახში არა სცხოვრობს და ეს შეუძლებელიცაა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ხმას არ ამოვიღებდით, თვით ბ. ბაკურაძეც ხომ სკოლაში სცხოვრობს, მაგრამ მარტო-ხელია და ჩვენ არაფერი გვითქვამს..

საქმე ისაა, როგორც პირველ წერილში ვთქვი სასწავლებელი საკუთრო ოთახებად გადააქციეს, რომლიც იზღუდება, როგორც საერთოდ სკოლის დანიშნულება, ისე განსაკუთრებით მოწაფეთა ინტერესები, მაგრამ სასწ. ბატონ-პატრონთ იმის მაგიერ, რომ გაანთავისუფლონ სკოლის შენობა, პირ-იქით ურიგებენ ცოლ-შვილიან და მასთან შეძლებულ მასწავლებლებს. ეხლახან მეორე ცოლ-შვილიან მასწავლებელს ედილაშვილსაც დაუთმეს ოთახები სკოლის შენობაშივე და რასაკვირველია ესეც მალე გადაბარგდება... სადაა პატრონი, ვინაა ხმის ამომღები?!?

თუმცა ამის შესახებ ცალ-ცალკე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ სადაც ჯერ არს ხმის ამოღებას ერიდებიან, მხოლოდ ავი ენანი ამბობენ, სასწავლებლის ზედამხედველის და მის თანაშემწის არჩევნებია მოსახდენი და შეიძლება მასწავლებლების ხმების შეძენას მნიშვნელობა ჰქონდესო...

გ. ლ—ძე.

შემოწირულება

ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ:

1. სოფ. მელაქის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მიერ წარსული 1917 წლის მოგებიდან გადადებულ იქმნა 150 მან.

2. ქ-ნ ქეთევან ღვთისავრიშვილის მიერ თავის ნაცნობებში შეგროვილი: სამ-სამი მან.: არჩვაძემ, მ. ხამასურიძემ, კ. ხამასურიძემ, ნეფარიძემ და ხვედიანელმა; დემეტრაშვილმა 1 მან. და 50 კაპ. და ტაბატაძემ 1 მან. სულ 17 მან. 50 კაპ.

3. ბ. არლემ დავითის ძე გეგენავასაგან სოფ. კოტიანეთის (სამეგრელოშია) სამრევლო სკოლის მოწაფეთა შორის მასწავლებელ ქალების დომინიკა ხელაძის და ვერა ნემსაძის დახმარებით მოგროვილ იქმნა 27 მან. 40 კაპ.

4. 21 იანვარს ქ. ოდესაში განსვენებულ კიტა აბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდზე შეგროვილ იქნა სტუდ. გიორგი ნოზაძის მიერ 386 მან.

შემომწირველთა სია: პროფ. ს. გოგიტიძე 25 მან.; ოც-ოცი მან.: პროფ. იასონ მოსეშვილმა, მიხეილ ნოდიამ, პროკოფი გოგიტიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, მიტროფან ტყემალაძემ და გიორგი გელოვანმ.; თხუთმეტ-თხუთმეტი მან.: იოველ ქუთათელაძემ, ნიკოლოზ მასხულიამ, ხიტუ მიქელაძემ და ეფრემ ზაქარიამ; გიორგი ხუჩნიშვილმა 14 მ.; ათ-ათი მან.: ჩარგეიშვილმა, ისიდორე გველაშვილმა, გიორგი ქუთათელაძემ, ყურაფაძემ და პეტრე ჯაფარიძემ; რვა-რვა მან.: კალანდაძემ, ჯიბუტმა და მირიან თედორაძემ; შვიდ-შვიდი მან.: კაკაბაძემ, სალარაძემ და უგულავამ; ელისაბედ დათეშიძემ ექვსი მან.; ხუთ-ხუთი მან.: ანნა მოსეშვილმა, მარიამ უგრელიძემ, გიორგი ალექსიძემ, მიხეილ ტყემალაძემ, ჩიქვილაშვილმა, ალექსანდრე ეშიბაიამ, პეტრე ქავთარაძემ, თამარ ბარნაბიშვილმა და ვდ. ჰკორიამ; პატარაძემ 4 მან.; სამ-სამი მან.: სვიმონ მაჭავარიანმა, ნებიერიძემ, აკაკი ბარათაშვილმა, ალექსი გაბელიამ და ნატალია ვაჩეიშვილმა; მიხეილ ფალავამ ორი მან.

ფულის შემომწირველთ და შემკრებთ ქართული უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას ამოახსენებს.

გამომცემლობა
სამხედ. [illegible]
რწმუნებული [illegible] კომიტეტისა

შემთხვევით იყიდება

სხვა და სხვა საუკეთესო წიგნები საქართველოს ისტორიის შესახებ, ჟურნალ-გაზეთები და დამატებები „ცნობის ფურცლისა“, „კვალი“, „ივერია“, „ეშმაკის მათრახი“ „მოამბე“ და სხ.; „ფენიქსის“ ახალი კასტუმი ლეკის შალისა, ორი პალტო ზაფხულის და ზამთრის და ამერიკანული ფეხსაცმელები „შევრო“.

მისამართი: თელავის ქ. № 47, მეღლიშვილთან. 1120

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
[illegible] 12—2 საათ. [illegible]

ექიმი
[illegible]
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კირიჩნი ქ. 18, ტელეფონი 11-82. 1003

ექიმი
[illegible]
იღებს ბავშვთა და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს [illegible] დილის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკ[illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 6—77 1030

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ძ. კამკამუი.

ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფუნი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. ბ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—მლექის და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (X სხივებით, დიდი სოლლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს. ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1086

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მთაწმინდის“ პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კირონინი“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კირონინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 სათ. ნაშუადღევის 3 ს.-და. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავტესიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იღვილი ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთ შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 101[illegible]

„სახალხო საქმის“
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. . . 3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I . . . 4 „
ბრდემლი წ. I . . . 3 „
ქართველი მწერლები. . . . 2 „
უცხოეთის „ . . . . 2 „
მოგზაური—„მეგობრობა“. . . — 60 კ.
ჯავახიშვილი—„თამარ მეფე“ . . . 1 „ 30
[illegible] ვ.—„[illegible] საქართველო“ . . . 1 „ [illegible]
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ . . . 50
წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რათა შეიძლება [illegible]. წიგნის ღირებულების 20 პროცენტი. გამოწერა შეიძლება მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

ერთად ერთი სათეატრო-სალიტერატურო სურათებიანი
ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება“** № 6 შინაარსი
(წელიწადი მეორე გამოცემისა)

1. მეთაური—ვინ უნდა ვიყოთ? 2. კიკი ბრალძე—ლოცვა 3. [illegible]თიკა—თეატრის მნიშვნელობა, 4. ელ. ორბელიანისა—ქართულ [illegible]ში, 5. ს. ტატუნი—[illegible]; 6. მ. [illegible]—ჩემი სახლი? 7. [illegible] წიგნი—გამოთხოვება; 8. იოსებ იმედაშვილი—სამი [illegible]; 9. [illegible] ჰლაიძე—[illegible]; 10. [illegible] 11. [illegible] ნიერი ქალი, კომ. 2 მოქ. (გაგრძ.); 12. ვ. [illegible]—სიმღერა [illegible] 13. იოსებ [illegible]—სამშობლო ხელოვნება, [illegible] 14. [illegible]ცეულიო—თეატრი პროვინციაში; 15. გ. [illegible] 16. [illegible]რადა; 17. წერილი ამბები, სურათები.

ფასი № 75 კ. წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. [illegible] წერა მიიღება [illegible] ადრესი: Тифлисъ, ред. „Театри да цховреба“ Іос. Имедашвили